



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვაშტიკი“

საერთო დანიშნულების სახელმწიფო
მომსახურების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

გიორგი კვეკელიშვილი

24 აპრილი 2025 წელი

№ 12/36

ვგზ. № 1

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის
კომერციული ოპერატორის“ 2022-2023 წლებში
განხორციელებული საფინანსო-ეკონომიკური
საქმიანობის შესაბამისობის
აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი

ტერმინები და შემოკლებები	3
შემაჯამებელი მიმოხილვა	4
რეკომენდაციები	6
 1. შესავალი	 7
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	7
აუდიტორის პასუხისმგებლობა	7
აუდიტის საგანი	7
აუდიტის მასშტაბი	7
აუდიტის კრიტერიუმები	7
აუდიტის მიზანი	9
აუდიტის მეთოდოლოგია	9
ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	10
 2. აუდიტის მიგნებები	 13
საკონტაქტო ინფორმაცია	24

ტერმინები და შემოკლებები

ესკო – ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი (ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი).

ელექტროსისტემა – სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (სსე).

სენზი – საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა.

საბალანსო ელექტროენერგია – კვალიფიციური საწარმოების მიერ შესყიდული ან/და გაყიდული ელექტროენერგია (სიმძლავრე), რომლითაც ხდება მყიდველთა და გამყიდველთა ფაქტობრივი საჭიროების დაკმაყოფილება, მათ შორის, პირდაპირი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ელექტროენერგიის სახელშეკრულებო მოცულობების დაბალანსება.

კვალიფიციური საწარმო – საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრირებული პირი.

ბაზრის წესები – ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესები.

გარანტირებული სიმძლავრის წყარო – ელექტროსადგური (ელექტროსადგურები), რომელიც აკმაყოფილებს კანონმდებლობით განსაზღვრულ შესაბამის ტექნიკურ პარამეტრებს და ემსახურება ქვეყნის ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადობას, უსაფრთხო და საიმედო ფუნქციონირებას.

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ 2022-2023 წლებში საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

ორგანიზაციის მართვა

დაგეგმვის ხარვეზები

ესკოში არ ხდება კომპანიის საქმიანობის სამოქმედო გეგმების შედგენა. აქედან გამომდინარე, მოკლებული ვართ შესაძლებლობას შევავსოთ, რამდენად შეესაბამება ამოცანების შესრულება კომპანიის დასახულ მიზნებს.

შვილობილი კომპანიის მართვის ხარვეზები

ესკოს შვილობილი კომპანია სენბი, დაარსების დღიდან აუდიტის პერიოდის ჩათვლით, ფუნქციონირებდა ისე, რომ ვერ ასრულებდა იმ ძირითად ფუნქცია-მოვალეობებს, რისთვისაც იყო შექმნილი.

აუდიტის პერიოდში სენბის ხარჯებმა შეადგინა 2,996,518 ლარი.

საბალანსო ელექტროენერგიის შესყიდვა

ტარიფების დადგენის ნაკლოვანებები

2022 წლის მარტსა და 2023 წლის ივლისში, ზოგიერთ შემთხვევაში არასწორად იქნა გაანგარიშებული საბალანსო ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი ფასი და ტარიფი. აღნიშნულ შემთხვევებში შეუსაბამოა არ არის რაოდენობრივად არსებითი, მაგრამ წარმოშობს რისკებს, რომ მნიშვნელოვან მოცულობაზე არასწორად გაანგარიშებული ფასი ფინანსურ გავლენას იქონიებს კომპანიასა ან/და საბოლოო მომხმარებლებზე.

აღრიცხვის კვანძების ინსპექტირება

ინსპექტირების ხარვეზები

2022 და 2023 წლებში ესკოს არ შეუდგენია აღრიცხვის კვანძების შემოწმების გეგმა-გრაფიკები, ასევე არ განხორციელებულა ანგარიშსწორებაში გამოყენებული აღრიცხვის კვანძების პერიოდული შემოწმება, რაც არ შეესაბამება „ქსელის წესებით“, „ბაზრის წესებით“ და ესკოს დებულებით დადგენილ მოთხოვნებს და აღრიცხვის კვანძების მოწყობილობების შემოწმების/ინსპექტირების პროცესში კონტროლის მექანიზმების არასრულყოფილად ფუნქციონირებაზე მიუთითებს.

შრომის ანაზღაურება

ფულადი ჯილდოს გაცემის დასაბუთების ნაკლოვანებები

ესკო თანამშრომლებზე ჯილდოს გაცემისას არ ეყრდნობა მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგებს, რაც უფრო მეტად გამჭვირვალეს გახდიდა წახალისების სისტემას. შედეგად, ჯამურად ასეთი სახით გაცემულია ჯილდოს 81% – 1,595,837 ლარი, რაც საქმიანობაში დამკვიდრებულ არაერთგვაროვან პრაქტიკაზე მიუთითებს.

ტრანსპორტის ხარჯები**სამორიგეო ავტომანქანების მართვის ხარვეზები**

ესკოში სამორიგეო ავტომობილების გამოყოფა არ ხდებოდა კონკრეტული მოთხოვნის საფუძველზე, რითაც არაა დაცული კანონმდებლობის შესაბამისი ნორმები, ასევე ვერ მოვიპოვეთ მტკიცებულებები იმის შესახებ, გამოიყენებოდა თუ არა სამორიგეო ავტომობილები შესაბამისი და არა განპიროვნებული დანიშნულების შესასრულებლად. სულ სამორიგეო ავტომობილებზე გახარჯულია 67,455 ლარი.

დასაბუთების გარეშე გამოყენებული ავტომობილები

ესკოში ავტომობილით მოსარგებლე თანამშრომლების მივლინებისა და შევბულების დროს ხდებოდა მათზე განპიროვნებული ავტომობილების ექსპლუატაცია შესაბამისი დასაბუთების გარეშე, რაც სამსახურებრივი ავტომობილების პირადი მიზნებით გამოყენების და არამართლზომიერი ხარჯების გაწევის რისკებს წარმოშობს.

ადმინისტრაციული ხარჯები**სამივლინებო ხარჯების ხარვეზები**

ესკოს მიერ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებისას, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებულ ნორმასთან შედარებით, ანაზღაურებულია 18,279 ლარით მეტი. აღნიშნულთან დაკავშირებით არ არის წარმოდგენილი გენერალური დირექტორის შესაბამისი გადაწყვეტილებები ან/და სხვა ხასიათის დასაბუთება.

სახელმწიფო შესყიდვები**გეგმის წარდგენის ვადის დაუცველობა**

ესკოს მიერ არ არის დაცული 2022 წლის შესყიდვების გეგმის წარდგენისათვის განსაზღვრული ვადა.

აქტივების მართვა და განკარგვა**ქონების მართვის ხარვეზები**

აუდიტის პერიოდში ესკოს არ წარმოუდგენია ინფორმაცია ჩატარებული ინვენტარიზაციისა და მისი შედეგების შესახებ. აქედან გამომდინარე, ვერ დავრწმუნდით ბალანსზე რიცხული აქტივების არსებობასა და სისრულეში.

რეკომენდაციები

რეკომენდაცია №1. კომპანიის წინაშე დასახული მიზნებისა და მათი შესრულების მდგომარეობის შესაფასებლად, მნიშვნელოვანია ესკომ შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა, სადაც ასახული იქნება კომპანიის მიერ წლის განმავლობაში განსახორციელებელი საქმიანობები, რაც ასევე ხელს შეუწყობს დასახული ამოცანების ეფექტიანად შესრულებას.

რეკომენდაცია №2. ესკომ თანამშრომელთა წახალისების სისტემის გამჭვირვალობის მიზნით, დანერგოს ერთგვაროვანი პრაქტიკა. შრომის ანაზღაურების შინაგანაწესში გაწეროს კონკრეტული კრიტერიუმები, რის საფუძველზეც გაიცემა წახალისება დასაქმებულ პირებზე.

რეკომენდაცია №3. სამსახურებრივი ავტომანქანების პირადი მიზნით გამოყენების რისკების შესამცირებლად, აუცილებელია სამორიგო ავტომობილების სამსახურებრივი მიზნებისთვის გამოყენების საჭიროება დასაბუთდეს დოკუმენტურად.

რეკომენდაცია №4. ტრანსპორტის ხარჯების არამართლზომიერად გაწევის რისკების შემცირებისთვის, მიზანშეწონილია თანამშრომელთა შვებულებაში ან საზღვარგარეთ მივლინებაში ყოფნის პერიოდში განპიროვნებული ავტომანქანის სხვა თანამშრომლის მიერ დროებით სარგებლობის საჭიროება დასაბუთდეს დოკუმენტურად.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ესკოს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე; აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლობიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამოებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000-4899) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, ესკოს მიერ განხორციელებული საქმიანობა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიშში არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამოები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, დასაბუთებული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამოების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობა.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ მიერ 2022-2023 წლებში განხორციელებული საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

-)/ საქართველოს კანონი „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „შესყიდვების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;
-)/ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 იანვრის №18 დადგენილება „ელექტროენერგიის პირდაპირი მომხმარებლისთვის სავალდებულო კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 აპრილის №246 დადგენილება „ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 28 დეკემბრის №625 დადგენილება „ელექტროენერგიის ზოგიერთ მწარმოებელზე (თბოელექტროსადგურებზე) საჯარო მომსახურების გაწევის ვალდებულების დაკისრების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილება „ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 დეკემბრის №80 დადგენილება „ელექტროენერგიის მსხვილი მომხმარებლის კრიტერიუმებისა და სტატუსის განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 აპრილის №107 დადგენილება „სახელმწიფო პროგრამა „განახლებადი ენერგია 2008“ – საქართველოში განახლებადი ენერგიის ახალი წყაროების მშენებლობის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 ივნისის №3758-III დადგენილება „საქართველოს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების თაობაზე“;
-)/ 2018 წლის 17 აგვისტოს №426 დადგენილება „საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 17 აპრილის №10 დადგენილება „ქსელის წესების დამტკიცების შესახებ“;
-)/ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“;
-)/ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს №77 ბრძანება „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ“;

-)/ საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2013 წლის 17 აპრილის №69 ბრძანება „ესკოს წესდების დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანება „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“;
-)/ ესკოს გენერალური დირექტორის 2021 წლის 31 დეკემბრის №23 ბრძანებით დამტკიცებული „ესკოს დებულება“;
-)/ ესკოს გენერალური დირექტორის 2014 წლის 24 იანვრის №1-ს ბრძანებით დამტკიცებული „ესკოს შინაგანაწესი“;
-)/ ესკოს გენერალური დირექტორის 2009 წლის 1 ოქტომბრის №55-ს ბრძანებით დამტკიცებული „ესკოში დასაქმებულთა მივლინების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“.

აუდიტის მიზანი

- ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შეესაბამება აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესახებ ინფორმაციის მოსამზადებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

-)/ აუდიტის ობიექტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და მონაცემთა ანალიზი;
-)/ დოკუმენტური შემოწმება;
-)/ ხელახალი გაანგარიშება;
-)/ ინტერვიუები აუდიტის ობიექტის თანამშრომლებთან;
-)/ ადგილზე დათვალიერება.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (ესკო) ფუნქციონირებს 2006 წლის 1 სექტემბრიდან. დაარსებისას კომპანიის სამართლებრივ ფორმად განისაზღვრა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ხოლო 2011 წლის 18 აგვისტოდან გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად.¹ კომპანიის მმართველი პარტნიორი და აქციების 100%-იანი წილის მფლობელია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.²

ესკოს მიზანია საქართველოს უწყვეტი ენერგომომარაგებისა და სისტემის გამართულად მუშაობის უზრუნველყოფა. კომპანიის ძირითადი ფუნქციებია:

- ┌ საბალანსო ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ყიდვა-გაყიდვა (მათ შორის, იმპორტსა და ექსპორტზე საშუალო- და გრძელვადიანი ხელშეკრულებების გაფორმების გზით);
- ┌ გარანტირებული სიმძლავრით ვაჭრობა „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ შესაბამისად;
- ┌ საბითუმო ყიდვა-გაყიდვის შესახებ ერთიანი ბაზის, მათ შორის, აღრიცხვიანობის ერთიანი რეესტრის შექმნა და წარმოება;
- ┌ საბითუმო აღრიცხვაში გამოყენებული მრიცხველების ინსპექტირება;
- ┌ ახალი ელექტროსადგურების მშენებლობის ხელშეწყობა;
- ┌ კანონით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

ესკოს სტრუქტურული ერთეულები:

- ┌ აპარატი;
- ┌ ადმინისტრაციული დეპარტამენტი;
- ┌ ანგარიშსწორების დეპარტამენტი;
- ┌ აღრიცხვის ავტომატიზებული სისტემის დეპარტამენტი;
- ┌ ანალიზის, მონიტორინგისა და პროგნოზირების დეპარტამენტი;
- ┌ აღრიცხვის კონტროლის დეპარტამენტი;
- ┌ ფინანსური ანგარიშგების და ბუღალტრული აღრიცხვის დეპარტამენტი;
- ┌ საერთაშორისო და ინვესტორებთან ურთიერთობის დეპარტამენტი;
- ┌ იმპორტ-ექსპორტის დეპარტამენტი;
- ┌ ვაჭრობის ორგანიზებისა და ბაზრის განვითარების დეპარტამენტი;
- ┌ იურიდიული დეპარტამენტი;
- ┌ საქმისწარმოების დეპარტამენტი;
- ┌ საბითუმო საჯარო მომსახურების სპეციალური ფონდი.

¹ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2011 წლის 10 აგვისტოს №142 ბრძანება.

² 2020 წლის 28 თებერვლამდე ესკოს მმართველი პარტნიორი იყო სს „საპარტნიორო ფონდი“.

სენზი

„ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფციის“³ საფუძველზე, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ დაევალით საწარმოს დაფუძნება 50-50%-იანი წილობრივი მონაწილეობით. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით⁴ დაფუძნდა შვილობილი კომპანია სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა“. 2023 წელს განხორციელებული ცვლილებით⁵ განისაზღვრა სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ კაპიტალში სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციისა“ და შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ 25%-იანი თანაბარი წილობრივი მონაწილეობა.

სენზის მისიას წარმოადგენს ელექტროენერგიის ბაზრის ეფექტიანი ოპერირებით, გამჭვირვალე და კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფა და სწორი საფასო სიგნალების მიწოდება ბაზრის არსებული და პოტენციური მონაწილეებისათვის, ხოლო საქმიანობას:

- ┐ დღით ადრე ბაზრის⁶ ოპერირება;
- ┐ დღიური ბაზრის ოპერირება;
- ┐ დღით ადრე და დღიური ბაზრებისთვის ანგარიშსწორების სისტემის მართვა.

ესკოს შემოსავლები და ხარჯები

ესკოს შემოსავალი შეადგენს კვალიფიციური საწარმოებისათვის გაწეული მომსახურების ფიქსირებულ ტარიფს – 0.00019 ლარის ოდენობით თითო კვტ.სთ-ზე, რაც განისაზღვრება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2008 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილების⁷ მიხედვით.

³ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 24 დეკემბრის №1-1/605 ბრძანება.

⁴ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 24 დეკემბრის №11/465 ბრძანება.

⁵ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 25 დეკემბრის №1-1/526 ბრძანება.

⁶ დღით ადრე ბაზარზე მონაწილეებს შეუძლიათ ელექტროენერგიით ვაჭრობა მომდევნო კალენდარული დღის თითოეული საათისათვის. ამ მიზნით, დღით ადრე ბაზრის აუქციონი ტარდება ყოველ კალენდარულ დღეს, მომდევნო ფიზიკური მიწოდების დღისთვის.

⁷ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილება „ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“.

ცხრილი №1. ინფორმაცია ესკოს მიერ მიღებული შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ (ლარი)

	2023	2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	513,846,556	689,338,704
რეალიზაციის თვითღირებულება	(506,907,461)	(683,404,797)
საერთო მოგება	6,939,095	5,933,907
სხვა შემოსავალი	2,048,265	22,142
ადმინისტრაციული ხარჯები	(5,575,241)	(4,578,676)
გაუფასურების ზარალები სავაჭრო მოთხოვნებზე	(1,231,583)	(3,271,160)
მოგება/(ზარალი) საოპერაციო საქმიანობიდან	2,180,536	(1,893,787)
ფინანსური შემოსავალი	5,778,844	4,720,924
ფინანსური ხარჯები	(444,703)	(521,735)
წმინდა ფინანსური შემოსავალი	5,334,141	4,199,189
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში, ზარალების წილი	(950,514)	(599,067)
მოგება დაბეგვრამდე	6,564,163	1,706,335
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
წლის წმინდა მოგება	6,564,163	1,706,335
ძირითადი საშუალებების გადაფასება	-	458,084
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	6,564,163	2,164,419

2. აუდიტის მიგნებები

2.1 ორგანიზაციული მართვა

2.1.1 კომპანიის მიზნების მიღწევის შეფასების ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფციის მიზანია ელექტროენერგიის ბაზრის ისეთი სტრუქტურის შექმნა, რომელიც როგორც საბითუმო, ისე საცალო ბაზრებზე უზრუნველყოფს გამჭვირვალე და საინვესტიციო გარემოს შექმნას. ის უზრუნველყოფს ორგანიზებული ბაზრების, მათ შორის, დღით ადრე, დღიური და საბალანსო ბაზრების ჩამოყალიბებას; გარდამავალ პერიოდში განსახორციელებელი ღონისძიებების განსაზღვრას.

საქმიანობის სამოქმედო გეგმა ორგანიზაციის მიერ წლის განმავლობაში განსახორციელებელი საქმიანობების კონკრეტულ აღწერას მოიცავს და ემსახურება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების უფრო ზუსტად და ეფექტიანად შესრულებას.

ბიზნესგეგმა (წლიური ბიუჯეტი) წარმოადგენს დოკუმენტს, სადაც, როგორც წესი, აისახება კერძო სამართლის სუბიექტების მიერ წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობებისათვის სავარაუდო დაფინანსების მოცულობა.

ფაქტობრივი მდგომარეობა: ბაზრის კონცეფციის განვითარებაში ესკოს ერთ-ერთი ფუნდამენტური როლი გააჩნია. კომპანიამ უნდა დაგეგმოს და განსახორციელოს კონცეფციით განსაზღვრული მიზნების შესრულებისათვის საჭირო ღონისძიებები.

2022-2023 წლებში კომპანიას შედგენილი აქვს მმართველობითი ანგარიში, ასევე საქმიანობის წლიური ანგარიში, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ესკოში არ ხდება კომპანიის საქმიანობის სამოქმედო გეგმების შედგენა, არ შეფასებულა კომპანიის მიერ დასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულების მდგომარეობა.

ესკოს განმარტებით, პარტნიორის მხრიდან ყოველწლიურად მტკიცდება ბიზნესგეგმა და ამ ბიზნესგეგმით ხორციელდება კომპანიაში მიმდინარე ხარჯების განკარგვა და მონიტორინგი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნესგეგმა მოიცავს მხოლოდ ფინანსურ მხარეს და არ ასახავს წლის განმავლობაში კომპანიის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებსა და ამოცანებს.

დასკვნა

ესკოში არ ხდება კომპანიის საქმიანობის სამოქმედო გეგმების შედგენა. აქედან გამომდინარე, მოკლებული ვართ შესაძლებლობას შევაფასოთ, რამდენად შეესაბამება ამოცანების შესრულება კომპანიის დასახულ მიზნებს.

რეკომენდაცია

კომპანიის წინაშე დასახული მიზნებისა და მათი შესრულების მდგომარეობის შესაფასებლად, მნიშვნელოვანია ესკომ შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა, სადაც ასახული იქნება კომპანიის მიერ წლის განმავლობაში განსახორციელებელი საქმიანობები, რაც ასევე ხელს შეუწყობს დასახული ამოცანების ეფექტიანად შესრულებას.

2.1.2 შვილობილი კომპანიის მართვის ხარვეზები

კრიტერიუმი: ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულების შეთანხმების მიხედვით, საქართველოს გააჩნია ვალდებულებები, რომ

უზრუნველყოს რეფორმები ენერგეტიკის სფეროში, მათ შორის, ევროკავშირის ენერგეტიკული კანონმდებლობის მესამე პაკეტის შესაბამისად. შეთანხმება გულისხმობს, რომ საქართველო უახლოეს მომავალში გახდება ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების წევრი.

ევროკავშირის მესამე ენერგეტიკული პაკეტი წარმოადგენს კანონთა ერთობლიობას ევროკავშირის შიდა გაზისა და ელექტროენერგეტიკის ბაზრის შესახებ, რომლის მიზანია კიდევ უფრო გახსნას ეს ბაზრები ევროკავშირში. მესამე ენერგოპაკეტის ძირითადი მოთხოვნებია:

- დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორის და გადამცემი სისტემის ოპერატორის შექმნა;
- ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის განვითარება;
- საცალო დონეზე ყველა მომხმარებლის ბაზრის გახსნა;
- ენერგორეგულატორების ურთიერთთანამშრომლობის სააგენტოს შექმნა (ACER);
- მესამე მხარის ქსელზე დაშვება.

ზემოაღნიშნული რეფორმის განხორციელების მიზნით, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ ხელმოწერილ იქნა „საქართველოს ელექტროენერგიის ბაზრის მოდელი 2015“-ის (GEMM 2015) სტრატეგიული დოკუმენტი.⁸ აღნიშნული დოკუმენტის ერთ-ერთი მიზანია კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარება და კონკურენტული ვაჭრობის მექანიზმის დანერგვა, რომელიც ხელშეკრულებაში არსებული მოთხოვნების შესაბამისად, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, აგრეთვე მოიცავს რეფორმას შემდეგი მიმართულებებით:

-)/ ერთი დღით ადრე დაგეგმვა;
-)/ ორმხრივი ყოველდღიური კონტრაქტები;
-)/ საბალანსო ბაზარი (Balancing Market);
-)/ ერთი დღით ადრე ბაზარი;
-)/ შიდა დღის ბაზარი;
-)/ აუქციონი (Implicit Auction).

ფაქტობრივი მდგომარეობა: ენერგეტიკის სექტორში დაგეგმილი რეფორმების ხელშეწყობის ფარგლებში, დამტკიცდა „ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფცია“,⁹ რომლის მიზანია ელექტროენერგიის ბაზრის ისეთი სტრუქტურის ჩამოყალიბება, რომელიც როგორც საბითუმო, ისე საცალო ბაზრებზე უზრუნველყოფს გამჭვირვალე და საინვესტიციო გარემოს შექმნას; ხელს შეუწყობს ორგანიზებული ბაზრების, მათ შორის, დღით ადრე, დღიური და საბალანსო ბაზრების ჩამოყალიბებას და განსაზღვრავს გარდამავალ პერიოდში განსახორციელებელ ღონისძიებებს.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანების¹⁰ თანახმად, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ დაევალებათ საწარმოს დაფუძნება 50-50%-იანი წილობრივი მონაწილეობით. აღნიშნული

⁸ Assistance Agreement No. AAG-114-G-10-00001; IMPLEMENTATION LETTER NO. 9.

⁹ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 24 დეკემბრის №1-1/605 ბრძანება „ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

¹⁰ 2019 წლის 28 სექტემბრის №1-1/465 ბრძანების მე-2 პუნქტი.

ბრძანებით დაფუძნდა შვილობილი კომპანია სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა“, რომლის დაფუძნების მიზანია, ენერგეტიკის სექტორში მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმების ხელშეწყობა, დღით ადრე და შემდგომი დღიური ბაზრების ფორმირების, ბაზრის ოპერატორის ჩამოყალიბებისთვის საჭირო ღონისძიებების მომზადება და კოორდინაცია.

2019 წლის 29 ნოემბერს აქციონერებმა, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულმა ოპერატორმა“ საერთო კრების ოქმით დაამტკიცეს სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ (სენბი) წესდება და სამეთვალყურეო საბჭო.

სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ ამოქმედების ვადასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის მიერ „ელექტროენერგეტიკული ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ 2020 წლის აპრილის №246 დადგენილებაში რამდენჯერმე განხორციელდა ცვლილება, რის შედეგად დაგეგმილმა რეფორმამ გადაიწია 2024 წლის 1 ივლისამდე.

ესკოს განმარტებით, ზემოთ აღნიშნული ცვლილების საფუძველი არ ყოფილა ბირჟის პარტნიორების მხრიდან რაიმე სახის შეფერხება, ყოველ ჯერზე ეს იყო რეგიონში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილება. ბირჟის ფუნქციონირების დაწყების ან გადავადების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება აღემატებოდა მათ კომპეტენციას და იგი მთავრობის უფლებამოსილების საგანს წარმოადგენდა.

ესკოს შვილობილი კომპანია სენბი დაარსების დღიდან აუდიტის პერიოდის ჩათვლით ფუნქციონირებდა ისე, რომ ვერ ასრულებდა იმ ძირითად ფუნქცია-მოვალეობებს, რისთვისაც აღნიშნული სტრუქტურა იყო შექმნილი, კერძოდ, ვერ ამოქმედდა:

- დღით ადრე ბაზრის ოპერირება;
- დღიური ბაზრის ოპერირება;
- ორმხრივი ხელშეკრულებების (ფორვარდული) ბაზრის ოპერირება;
- დღით ადრე და დღიური ბაზრებისთვის ანგარიშსწორების სისტემის მართვა.

აუდიტის პერიოდში სენბის ხარჯებმა შეადგინა 2,996,518 ლარი.

ცხრილი №2. ინფორმაცია სენბის მიერ 2022-2023 წლებში გაწეული ხარჯების შესახებ (ლარი)

მუხლი	2022	2023	სულ
შრომის ანაზღაურება	726,387	663,721	1,390,108
ადმინისტრაციული ხარჯები	338,005	982,371	1,320,376
სხვა ხარჯები	129,881	126,153	256,034
ჯამი	1,194,273	1,772,245	2,966,518

2023 წელს სენბის ესკოსთვის, როგორც პარტნიორი კომპანიისათვის, არ წარუდგენია წლიური საქმიანობის ანგარიში, რაც ესკოს განმარტებით,

გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ აღნიშნულ პერიოდში სენზი თავის ძირითად საქმიანობას ვერ ახორციელებდა.

დასკვნა

ესკოს შვილობილი კომპანია სენზი დაარსების დღიდან აუდიტის პერიოდის ჩათვლით ფუნქციონირებდა ისე, რომ ვერ ასრულებდა იმ ძირითად ფუნქცია-მოვალეობებს, რისთვისაც იგი იყო შექმნილი.

აუდიტის პერიოდში სენზის ხარჯებმა შეადგინა 2,996,518 ლარი.

2.2 საბალანსო ელექტროენერგია

2.2.1 ტარიფების დადგენის ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობით,¹¹ ექსპორტიორის (ან ექსპორტიორების) მიერ საბალანსო ელექტროენერგიის ექსპორტის, ასევე ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორსა და ტრანზიტის დამკვეთს შორის ტრანზიტის გადახრებზე, შესაბამისი პირი¹² (ან პირები) ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორისაგან შეისყიდის იმავე საანგარიშო პერიოდში ყველაზე მაღალი ტარიფის (ფასის) მქონე საბალანსო ელექტროენერგიას, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ყველაზე მაღალი ტარიფის (ფასის) მქონე საბალანსო ელექტროენერგიის რაოდენობა არ არის საკმარისი, შეესება ხდება ტარიფის (ფასის) კლების პრინციპით, მომდევნო ყველაზე მაღალი ტარიფის (ფასის) მქონე საბალანსო ელექტროენერგიით.

ამასთანავე, მოქმედი კანონმდებლობით, ყველა გამყიდველის მიერ მოწოდებული საბალანსო ელექტროენერგიის ღირებულების შესაბამისად გამოითვლება გასაყიდი საბალანსო ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი ფასი. გასაყიდი საბალანსო ელექტროენერგიის ფასის ფორმირებაში ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი ითვალისწინებს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მიერ ელექტროენერგიის იმპორტის განხორციელების შედეგად (ელექტროენერგიის იმპორტის პირდაპირი ხელშეკრულებით გაყიდული ელექტროენერგიის გარდა) წარმოქმნილი საკურსო სხვაობის შემოსავალს ან/და ხარჯს, რომელიც საბალანსო ელექტროენერგიის ფასის ფორმირებაში მონაწილეობს იმ საანგარიშო პერიოდში, რომელშიც მოხდა სხვაობის ფაქტობრივად აღიარება.¹³

ფაქტობრივი მდგომარეობა: აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ:

-) 2023 წლის ივლისში ესკომ, საექსპორტოდ გასატანად, სამ კომპანიას მიაწოდა, ჯამურად, 1,797,038.10 კვტ.სთ მოცულობის საბალანსო ელექტროენერგია¹⁴ – 1 კვტ.სთ – 17,1815 თეთრად (შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგურისგან“ შესყიდული საბალანსო ელექტროენერგია), მაშინ როდესაც ივლისში ყველაზე მაღალი ფასის მქონე აზერბაიჯანიდან იმპორტირებული ელექტროენერგია იყო, კერძოდ, „აზერენერჯის“ მიერ მოწოდებული ელექტროენერგია,¹⁵ რომლის ფასმა, საქართველოს

¹¹ „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს №77 ბრძანების მე-14 მუხლის მე-4 პუნქტი.

¹² ექსპორტიორი.

¹³ „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების დამტკიცების“ შესახებ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს №77 ბრძანების მე-14 მუხლის 3¹ პუნქტი.

¹⁴ შპს „თბილისის საინვესტიციო ჯგუფი“ – 643 471,9 კვტ.სთ; შპს „ლუქს ენერჯი ტრეიდიგ“- 589 325,5 კვტ.სთ; შპს „ბუქაფ სოლუმენზ“ – 564 240,7 კვტ.სთ მოცულობის საბალანსო ელექტროენერგია.

¹⁵ „აზერენერჯის“ მიერ ივლისში ჯამურად მოწოდებულია 662 057.2 კვტ.სთ მოცულობის ელექტროენერგია.

მოქმედი კანონმდებლობით გადასახდელი ყველა ხარჯის და გადასახადის გათვალისწინებით, შეადგინა 17,3085 თეთრი (სახელშეკრულებო ფასი – 6.5 აშშ ცენტი). მიღებული განმარტებით, ვინაიდან იმპორტირებული ელექტროენერგიის რაოდენობა – 662,057.2 კვტ.სთ, მნიშვნელოვნად ნაკლები იყო კომპანიებისთვის ჯამურად მისაყიდ რაოდენობაზე, მოხდა ასევე ძვირიანი, 6.5 აშშ ცენტის ღირებულების ქართლის ქარის ელექტროსადგურის ელექტროენერგიის გაყიდვა კომპანიებზე. მიუხედავად იმისა, რომ ორივე კომპანიის სახელშეკრულებო ფასი იდენტურია, „აზერენერჯის“ შემთხვევაში ფასს ემატებოდა საბაჟო გადასახადი და სემეკის რეგულირების ტარიფი, რაც ექსპორტიორებზე გასაყიდი საბალანსო ელექტროენერგიის ფასის ფორმირებისას არ იქნა გათვალისწინებული;

- J) 2022 წლის თებერვალში სს „ელგრინ ჰოლდინგ ინკორპორეტიდის“ მიერ განხორციელებული იმპორტის მოცულობაზე კორექტირების შედეგად, იმპორტირებული ელექტროენერგიის რაოდენობა ნაცვლად 63,556,956.7 კვტ.სთ-ისა, განისაზღვრა 66,096,072.10 კვტ.სთ-ით. ამის მიუხედავად, მარტის გასაყიდი საბალანსო ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი ფასის გაანგარიშებისას, შესაბამისად არ დაკორექტირებულა საკურსო სხვაობა, რომელიც მონაწილეობს საშუალო შეწონილი ფასის ფორმირებაში.

დასკვნა

2022 წლის მარტსა და 2023 წლის ივლისში ზოგიერთ შემთხვევაში არასწორად იქნა გაანგარიშებული საბალანსო ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი ფასი¹⁶ და ტარიფი. აღნიშნულ შემთხვევებში შეუსაბამობა არ არის რაოდენობრივად არსებითი, მაგრამ წარმოშობს რისკებს, რომ მნიშვნელოვან მოცულობაზე არასწორად გაანგარიშებული ფასი ფინანსურ გავლენას იქონიებს კომპანიასა ან/და საბოლოო მომხმარებლებზე.

2.3 აღრიცხვის კვანძების ინსპექტირება და რეგისტრაცია

2.3.1 ინსპექტირების ხარვეზები

კრიტერიუმი: საანგარიშსწორებო აღრიცხვის კვანძის ექსპლუატაციაში მიღება, ტესტირება, ინსპექტირება/შემოწმება დადგენილია „ქსელის წესებით“.¹⁷ სისტემის კომერციული ოპერატორის ფუნქციები კი განსაზღვრულია „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით“¹⁸ და ესკოს დებულებით.¹⁹

ანგარიშსწორებაში გამოყენებული აღრიცხვის კვანძების შემოწმების პერიოდულობა (წელიწადში – ერთხელ) და გეგმა-გრაფიკი დგება და მტკიცდება კომერციული ოპერატორის მიერ, ელექტროენერგიის საბითუმო ვაჭრობაში მონაწილე ყველა სუბიექტის სააღრიცხვო წერტილების გეოგრაფიული განლაგების რეგიონალური პრინციპით.

¹⁶ აღნიშნულ შემთხვევაში შეუსაბამობა არ არის რაოდენობრივად არსებითი, მაგრამ არსებითია - ხარისხობრივად.

¹⁷ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 17 აპრილის №10 დადგენილება „ქსელის წესების დამტკიცების შესახებ“.

¹⁸ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს №77 ბრძანება „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ“.

¹⁹ ესკოს გენერალური დირექტორის 2021 წლის 31 დეკემბრის №23-ს ბრძანება სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის დებულების დამტკიცების თაობაზე“.

ფაქტობრივი მდგომარეობა: აუდიტის შედეგად გამოვლინდა ანგარიშსწორებაში გამოყენებული აღრიცხვის კვანძების შემოწმების/ინსპექტირების ნაკლოვანება, კერძოდ:

2022 და 2023 წლებში ესკოს არ შეუდგენია ანგარიშსწორებაში გამოყენებული აღრიცხვის კვანძების შემოწმების გეგმა-გრაფიკები.

კომპანიის წერილობითი განმარტებით: 2021-2023 წლებში კორონავირუსის (COVID-19) პანდემიიდან გამომდინარე, არ შედგენილა შემოწმების გეგმა-გრაფიკები და შესაბამისად, აღრიცხვის კვანძების პერიოდული შემოწმება არ განხორციელებულა. ამასთანავე, ამავე პერიოდში აქტუალური იყო და დღის წესრიგში იდგა ელექტროენერგიის საათობრივი ვაჭრობის მოდელის გაშვების საკითხი, რაც თვისობრივად ცვლიდა კომერციული ოპერატორის ფუნქციებს, კერძოდ, კომერციულ ოპერატორს არ ექნებოდა აღრიცხვის მონიტორინგისა და საწარმოების რეგისტრაციის ფუნქციები, რადგან მიზნობრივ მოდელზე გადასვლის ვადები სისტემატურად იცვლებოდა. შემოწმების გეგმა-გრაფიკების შედგენა აზრს კარგავდა. ამ პერიოდში ხორციელდებოდა მხოლოდ ახალი საწარმოების ან/და ახალი აღრიცხვის კვანძების საბითუმო ვაჭრობაში გამოსაყენებლად აღიარების მიზნით აღრიცხვის მოწყობილობების შემოწმების სამუშაოები.

2022 და 2023 წლებში არ განხორციელებულა ანგარიშსწორებაში გამოყენებული აღრიცხვის კვანძების პერიოდული შემოწმება, შესაბამისად, არ ჩატარებულა შემდეგი სამუშაოები:²⁰

-)/ აღრიცხვის მოწყობილობების ვიზუალურ-გარეგანი დათვალიერება;
-)/ მრიცხველის კორპუსის მთლიანობის შემოწმება;
-)/ მრიცხველისა და მომჭერების ხუფებზე ლუქების მთლიანობის შემოწმება;
-)/ დენისა და ძაბვის ტრანსფორმატორების ტრანსფორმაციის კოეფიციენტების ჩანაწერების შემოწმება ტრანსფორმატორების ფირნიშზე მინაერთის გამორთვის გარეშე (სადაც ეს შესაძლებელია) და მრიცხველის საანგარიშო კოეფიციენტის ჩანაწერთან შედარება;
-)/ მრიცხველის მინაერთების სქემის შემოწმება (პროგრამულად, ლუქის ახსნის გარეშე);
-)/ აღრიცხვის კვანძის შემოწმების აქტის გაფორმება ყველა მონაწილე მხარის ხელმოწერით;
-)/ მრიცხველის, დენისა და ძაბვის მზომი ტრანსფორმატორების გაზომვის ოქმებისა და პასპორტის არსებობის შემოწმება;
-)/ აღრიცხვის ჟურნალის წარმოების შემოწმება.

ამ პერიოდში შესრულებულია მხოლოდ ახალი საწარმოების ან/და ახალი აღრიცხვის კვანძების საბითუმო ვაჭრობაში გამოსაყენებლად აღიარების მიზნით აღრიცხვის მოწყობილობების შემოწმების სამუშაოები.

²⁰ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 17 აპრილის №10 დადგენილება „ქსელის წესების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 70, პუნქტი 14.

დასკვნა

კომერციული ოპერატორის მიერ ჩატარებული აღრიცხვის კვანძების ინსპექტირების სამუშაოები სრულად არ შეესაბამება „ქსელის წესებით“, „ბაზრის წესებით“ და ესკოს დებულებით დადგენილ მოთხოვნებს, რაც აღრიცხვის კვანძების მოწყობილობების შემოწმების/ინსპექტირების პროცესში კონტროლის მექანიზმების არასრულყოფილად ფუნქციონირებაზე მიუთითებს.

2.4 შრომის ანაზღაურება

ესკოს მიერ აუდიტის პერიოდში გაწეული შრომის ანაზღაურების ხარჯები მოცემულია ცხრილის სახით:

ცხრილი №3. ინფორმაცია 2022-2023 წლებში ესკოში გაცემული შრომის ანაზღაურების შესახებ

წელი	ფაქტობრივი მონაცემები (ლარი)			გეგმა
	ხელფასი	პრემია	სულ	
2022	2,668,440	837,301	3,505,741	3,567,642
2023	3,126,195	1,131,330	4,257,525	4,394,760
სულ	5,794,635	1,968,631	7,763,266	7,962,402

2.4.1 ფულადი ჯილდოს გაცემის დასაბუთების ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: შრომის ანაზღაურების სისტემა ემყარება გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპებს, რომლის უზრუნველყოფისათვის ორგანიზაციაში წახალისების ფორმა – ფულადი ჯილდო გამოყენებულ უნდა იქნეს დასაქმებული პირის მიერ სამსახურებრივი მოვალეობების სანიმუშოდ შესრულების ან/და განსაკუთრებული სირთულის დავალებების შესრულებისათვის. გადაწყვეტილება წახალისების შესახებ უნდა გამომდინარეობდეს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგებიდან.

ფაქტობრივი გარემოება: 2022-2023 წლებში ესკოში დასაქმებულ თანამშრომლებზე ფულადი ჯილდოს სახით ჯამურად გაცემულია 1,968,631 ლარი. აქედან უმეტესი ნაწილი, 1,595,837 ლარი (მთლიანი ჯილდოს 81%) გაცემულია შესაბამისი დასაბუთების გარეშე, კვარტალური და სადღესასწაულო ჯილდოების სახით, მათ შორის, 2022 წელს – 521,609 ლარი და 2023 წელს – 1,074,228 ლარი. ჯილდოს გაცემის საფუძვლებში არ არის მითითებული კონკრეტული თანამშრომლების მიერ შესრულებული სამუშაოები და ჯილდოს გაცემის მოტივები.²¹

დასკვნა

ესკო თანამშრომლებზე ჯილდოს გაცემისას არ ეყრდნობა მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგებს, რაც უფრო მეტად გამჭვირვალეს გახდიდა წახალისების სისტემას. შედეგად, ჯამურად ასეთი სახით გაცემულია ჯილდოს 81% – 1,595,837 ლარი, რაც საქმიანობაში დამკვიდრებულ არაერთგვაროვან პრაქტიკაზე მიუთითებს.

რეკომენდაცია

ესკომ თანამშრომელთა წახალისების სისტემის გამჭვირვალობის მიზნით, დანერგოს ერთგვაროვანი პრაქტიკა. შრომის ანაზღაურების შინაგანაწესში

²¹ ორგანიზაციაში შეფასების სისტემა არ არის დანერგილი.

გაწეროს კონკრეტული კრიტერიუმები, რის საფუძველზეც გაიცემა ფულადი ჯილდო დასაქმებულ პირებზე.

2.5 ტრანსპორტის ხარჯები

2.5.1 სამორიგეო

ავტომანქანების მართვის ხარჯები

კრიტერიუმი: საქართველოს მთავრობის დადგენილება²² არეგულირებს სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის მოთხოვნებს, ხოლო სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (ესკო), როგორც 100%-იანი სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმო, ავტოპარკის მართვის დროს ვალდებულია ხელმძღვანელობდეს აღნიშნული დადგენილებით.

მოქმედი კანონმდებლობით,²³ სამორიგეო ავტომობილი ზოგადი სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე (გარდა საპროტოკოლო/სასტუმრო ავტომობილებისა), დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად განკუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებაა, რომელიც არ განეკუთვნება განპიროვნებული ავტომობილების რიცხვს და გამოიყოფა ყოველი კონკრეტული მოთხოვნის საფუძველზე, დაწესებულების კონკრეტულ თანამშრომელზე.

ფაქტობრივი მდგომარეობა: მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ნორმების²⁴ მიხედვით, ესკოს შეუძლია ფლობდეს 1 ერთეულ განპიროვნებულ ავტომობილს. კომპანიას 2022-2023 წლებში სულ ერიცხებოდა 6 სატრანსპორტო საშუალება. აქედან, ესკოს განმარტებით, 1 ავტომანქანა მიეკუთვნებოდა – განპიროვნებულ, 1 – სპეციალიზებულ, ხოლო 4 – სამორიგეო ავტომობილს.

აუდიტის პერიოდში სამორიგეო ავტომობილები არ გამოიყენებოდა კონკრეტული წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, დაწესებულების შესაბამის თანამშრომელზე გამოყოფით.

2022-2023 წლებში სამორიგეო ავტომანქანებზე სულ გახარჯულია 67,455 ლარის ღირებულების 20,200 ლიტრი საწვავი.²⁵

დასკვნა

ესკოში სამორიგეო ავტომობილების გამოყოფა არ ხდებოდა კონკრეტული მოთხოვნის საფუძველზე, რითაც არაა დაცული კანონმდებლობის შესაბამისი ნორმები, ასევე ვერ მოვიპოვეთ მტკიცებულებები იმის შესახებ, გამოიყენებოდა თუ არა სამორიგეო ავტომობილები შესაბამისი და არა განპიროვნებული დანიშნულების შესასრულებლად. სულ სამორიგეო ავტომობილებზე გახარჯულია 67,455 ლარი.

²² საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის შესახებ“.

²³ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 30 მარტის №157 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესი“, მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.

²⁴ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 30 მარტის №157 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესი“, მე-3 მუხლი.

²⁵ აქედან, სპეციალიზებულ ავტომობილზე გახარჯულია 9,686 ლარის ღირებულების 2,925 ლიტრი საწვავი.

რეკომენდაცია

ესკოში სამსახურებრივი ავტომანქანების პირადი მიზნით გამოყენების რისკების შესამცირებლად, აუცილებელია სამორიგეო ავტომობილების სამსახურებრივი მიზნებისთვის გამოყენების საჭიროება დასაბუთდეს დოკუმენტურად.

2.5.2 დასაბუთების გარეშე გამოყენებული ავტომანქანები

კრიტერიუმი: დასაქმებული პირის მიერ დაწესებულების ქონება და სხვა რესურსები პირადი მიზნით არ უნდა იქნეს გამოყენებული, ასევე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაცული უნდა იყოს ეკონომიურობისა და ეფექტიანობის პრინციპები.

ფაქტობრივი მდგომარეობა: აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი შეუსაბამობები:

- სამსახურებრივ ავტომობილებზე²⁶ დაფიქსირდა დასვენების/უქმე დღეებში²⁷ საწვავის ჩასხმის ფაქტები, რაზეც ვერ იქნა წარმოდგენილი აღნიშნულის საჭიროების/აუცილებლობის დამადასტურებელი დოკუმენტები. 2022 წელს დასვენების/უქმე დღეებში ჩასხმულია – 9,818 ლარის, ხოლო 2023 წელს – 6,871 ლარის საწვავი;
- განპიროვნებული ავტომობილით მოსარგებლე თანამშრომლების შვებულებაში ან მივლინებაში ყოფნის პერიოდში, განპიროვნებული ავტომანქანა არ ყოფილა გაჩერებული და არც დოკუმენტურად დასაბუთებული საფუძვლით გადაცემული სამსახურებრივ, დროებით სარგებლობაში დაწესებულების სხვა თანამშრომელზე.

დასკვნა

ესკოში ხდებოდა უქმე და დასვენების დღეებში, ასევე ავტომობილით მოსარგებლე თანამშრომლების მივლინებისა და შვებულების დროს, მათზე განპიროვნებული ავტომობილების ექსპლუატაცია შესაბამისი დასაბუთების გარეშე, რაც სამსახურებრივი ავტომობილების პირადი მიზნებით გამოყენების და არამართლზომიერი ხარჯების გაწევის რისკებს წარმოშობს.

რეკომენდაცია

ტრანსპორტის ხარჯების არამართლზომიერად გაწევის რისკების შემცირებისთვის მიზანშეწონილია თანამშრომელთა შვებულებაში ან საზღვარგარეთ მივლინებაში ყოფნის პერიოდში განპიროვნებული ავტომანქანის სხვა თანამშრომლის მიერ დროებით სარგებლობის საჭიროება დასაბუთდეს დოკუმენტურად.

2.6 ადმინისტრაციული ხარჯები

2.6.1 სამივლინებო ხარჯების ხარვეზები

კრიტერიუმი: ესკოს სამივლინებო ხარჯები რეგულირებულია შპს „ელექტრონერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორში დასაქმებულთა მივლინების შესახებ“ დებულებით.²⁸

დებულების თანახმად,²⁹ დასაქმებულის ქვეყნის გარეთ მივლინებისას სადღელამისო და ბინის დაქირავების ხარჯების ნორმები განისაზღვრება „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპილის

²⁶ არ მოიცავს განპიროვნებული ავტომობილის მონაცემებს.

²⁷ მათ შორის, შაბათ-კვირას.

²⁸ გენერალური დირექტორის 2009 წლის 1 ოქტომბრის №55-ს ბრძანება.

²⁹ მე-3 მუხლის პირველი პუნქტი.

N220 ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად. ასევე გენერალურ დირექტორს უფლება აქვს თვითონვე, ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული აქტების გათვალისწინებით, მიიღოს გადაწყვეტილება მივლინების განსხვავებული პირობებით ანაზღაურების შესახებ.

ფაქტობრივი გარემოება: აუდიტის პერიოდში ესკოს მიერ გაწეული სამივლინებო ხარჯები მოცემულია ცხრილის სახით:

ცხრილი №4. ინფორმაცია 2022-2023 წლებში განხორციელებული მივლინებების შესახებ (ლარი)

წელი	ქვეყნის შიგნით	ქვეყნის გარეთ	სულ
2022	10,788	10,822	21,610
2023	15,425	15,749	31,174
ჯამი	26,213	26,571	52,784

აუდიტის პერიოდში ესკოს მიერ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებისას საცხოვრებელი ფართის დაქირავების ხარჯები უმეტეს შემთხვევაში ანაზღაურებულია ფაქტობრივი ხარჯებით. ჯამურად, ფინანსთა მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებულ ნორმასთან შედარებით ანაზღაურებულია 18,279 ლარით მეტი.

ნორმის ზემოთ გაწეული ხარჯების მიზანშეწონილობის დასადასტურებლად გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებები ან/და რაიმე სხვა დასაბუთება წარმოდგენილი არ არის.

დასკვნა

ესკოს მიერ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებისას ფინანსთა მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებულ ნორმასთან შედარებით ანაზღაურებულია 18,279 ლარით მეტი. აღნიშნულთან დაკავშირებით არ არის წარმოდგენილი გენერალური დირექტორის შესაბამისი გადაწყვეტილებები ან/და სხვა ხასიათის დასაბუთება.

2.7 სახელმწიფო შესყიდვები

2.7.1 გეგმის წარდგენის ვადების დაუცველობა

კრიტერიუმი: მომდევნო წლის შესყიდვების წლიურ გეგმას შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი წარუდგენს სააგენტოს, არაუგვიანეს, მიმდინარე წლის 20 ნოემბრისა. გეგმის რეგისტრაცია უნდა განხორციელდეს ePLAN-მოდულში. გეგმის სააგენტოში წარდგენად ჩაითვლება მისი რეგისტრაცია ePLAN-ში.

ფაქტობრივი მდგომარეობა: ესკოს 2022 წლის შესყიდვების გეგმა ePLAN-მოდულში ატვირთულია 2021 წლის 16 ნოემბერს, თუმცა გეგმის რეგისტრაცია/წარდგენა განხორციელდა დაგვიანებით, 2021 წლის 15 დეკემბერს,³⁰ მიუხედავად იმისა, რომ შესყიდვების კანონმდებლობის

³⁰ ესკოს განმარტებით, გეგმის მონაცემები ატვირთულია 16 ნოემბერს, რადგან სხვადასხვა ობიექტური მიზეზის გამო ბიზნესგეგმა დაგვიანებით დამტკიცდა.

მოთხოვნით მომდევნო წლის გეგმის წარდგენის ბოლო ვადაა მიმდინარე წლის 20 ნოემბერი.

დასკვნა

ესკოს მიერ არაა დაცული 2022 წლის შესყიდვების გეგმის წარდგენისათვის განსაზღვრული ვადა.

2.8 აქტივების მართვა

2.8.1 ქონების მართვის ხარვეზები

კრიტერიუმი: პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების მიხედვით, საწარმოში სამეურნეო წლის ბოლოს ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა, გარდა ამავე დებულებით განსაზღვრული გამონაკლისებისა.

ფაქტობრივი მდგომარეობა: ბოლო ინვენტარიზაცია ჩატარებულია 2021 წლის ბოლოს. აუდიტის პერიოდში ესკოს ინვენტარიზაცია არ ჩატარებია, რითაც არაა დაცული კანონმდებლობის³¹ მოთხოვნა, რომლის მიხედვით ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა სამეურნეო წლის ბოლოს.³²

დასკვნა

აუდიტის პერიოდში ესკოს არ წარმოდგენია ინფორმაცია ჩატარებული ინვენტარიზაციისა და მისი შედეგების შესახებ. აქედან გამომდინარე, ვერ დავრწმუნდით ბალანსზე რიცხული აქტივების არსებობასა და სისრულეში.

აუდიტორები


ხელმოწერა


შალვა ჯავახიშვილი
წამყვანი აუდიტორი

ნინო ამირანაშვილი
უფროსი აუდიტორი

დიანა გასპარიანცი
აუდიტორი

 24.04.2025 წ.

 24.04.2025 წ.

 24.04.2025 წ.

³¹ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება.

³² ესკოს მიერ დამტკიცებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით, ინვენტარიზაციის ჩატარება დაგეგმილია 3 წელიწადში ერთხელ.

საკონტაქტო ინფორმაცია

**ვებგვერდი და
სოციალური მედია**

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

**ელექტრონული
ფოსტის მისამართი**

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE